ოქმი:ო02. 3726208001
თარიღი:27/07/2026

ოქმი №14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2026 წელი, 24 ივლისი

ქ.ოზურგეთი

13:30-14:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. გობრონიძე, ნ. ჭანიშვილი, ლ. კილაძე, ნ. ურუშაძე, ტ. აროშიძე, პ. კიღურაძე, დ. კიკვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ზ. სალუქვაძე, ლ. ქვილორია.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრის შესახებ” **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თემური მურვანიძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, შრომის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე (ს. კ 26.02.09.292, 26.02.09.349, 26.02.09.136, 26.02.09.291, და 26.02.09.131) ტურისტული და დასასვენებელი კომპლექსის (დამხმარე ინფრასტრუქტურით) მშენებლობისათვის დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე” - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ირაკლი ანდღულაძე

3. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29

დეკემბრის №2260 განკარგულების საფუძველზე გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე"- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამაზ ჩავლეშვილი

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე(ს.კ 26.01.75.098; 26.01.75.172; 26.01.75.099;26.01.75.044; 26.01.75.173 და 26.01.75.007) ბეტონის საწარმოს მოწყობა/ მშენებლობის(დამხმარე ინფრასტრუქტურით) დეტალური გეგმის სემუსავების, ინიციპებისა და დავალების გაცემისთაობაზე”- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის,მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ირაკლი ანდღულაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი-ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა თ.მურვანიძემ, რომელმაც საკრებულოს კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, აღნინიშნა, რომ მომავალში მცირე ზომის გემების ბაზირების საკითხი მოგვარებული უნდა იქნას ერთხელ და სამუდამოდ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი-ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ი. ანდღულაძემ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი-ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა თ. ჩავლეშვილმა, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ იგი ძირითადში ეხება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის მეოთხე საკითხი-ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ი. ანდღულაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საწარმო მოქმედია, მაგრამ აუცილებელია კანონის ჩარჩოებში მოყვანის მიზნით მშენებლობის დეტალური გეგმის შემუშავება, რომელსაც თავად საწარმო განახორციელებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი